საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
პარასკევი
27
თებერვალი
№ 48
(16478)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მოსკოვი. კრემლის ყრილობათა სასახლე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა. სურათზე: დელეგატები საქართველოს სს რესპუბლიკიდან და ხერსონის ოლქიდან სხდომათა შორის შესვენების დროს.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ტელეფოტო (საკდეხი-საქინფორმი).

საინფორმაციო ცნობა

26 თებერვალს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგმა XXV ყრილობამ.

დილის სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მორიგი ამოცანების და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: ს. თ. მედუნოვი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ა. ალიევი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. ალექსანდროვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ი. პ. რიაბოვი — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები: იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ტოდორ ჟივკოვი — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო გამოვიდნენ ამხანაგები: ა. ვ. გეორგიევი — სკკპ ალტაის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ვ. გიტალოვი — კიროვოგრადის ოლქის ნოვოუკრაინსკის რაიონის სკკპ XX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტთა ბრიგადირი, ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

დილის სხდომის ბოლოს ყრილობას მიესალმა ამხანაგი ალვარო კუნიალი — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რომელსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის და საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მორიგი ამოცანების და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის განხილვა.

ყრილობაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ტ. უ. უსუბალიევი — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ვ. ჩუევი — ბალტიის ხერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთაშენებელი ქარხნის ხარატი, ქალაქი ლენინგრადი, ლ. ა. კოსტანდოვი — სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი.

გაისმის პიონერული ბუკის ხმა. მთელი დარბაზის ტაშის გრიალში შემოდიან ნორჩი პიონერები. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ამდგარი ხვდებიან ლენინურ ცვლას. პიონერებმა მისალმების სიტყვებით მიმართეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას.

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ ამხანაგები: ნიკოლაე ჩაუშესკუ — რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, კაი ნოს ფიმვიხანი — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, იუმჟაგინ ცედენბალი — მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო პურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.



ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ!

25 თებერვლის დილის სხდომა

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკიმ თქვა, რომ მთელი საბჭოთა ხალხი, მრავალი მილიონი ჩვენი მეგობარი საზღვარგარეთ უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდა სკკპ XXV ყრილობას, როგორც ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც გააკეთა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ძლიერი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, გამოწვეული ჩვენი პარტიისათვის, ჩვენი შესანიშნავი ხალხისათვის დიდი სიამაყის გრძნობა. მოხსენებაში წამოყენებულია ქვეყნის შემდგომი განვითარების ხანგრძლივი პერსპექტივის ფუნდამენტური პროგრამა, რომელიც, უეჭველია, საფუძველად დაიდება მთელ ჩვენს მუშაობას. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ, როგორც ვ. ი. ლენინმა თქვა, „...ჩვენ უცილობლად, გარდაუვალად მივდივართ კომუნიზმისაკენ“.

დაახასიათა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა, ორატორმა თქვა, რომ ეს საქმიანობა მრავალფეროვანი, დაძაბული და ნაყოფიერი იყო. მან განაცხადა, რომ პრაქტიკულად არ ყოფილა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობისა და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ამოცანებასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული ორგანოების მიერ დასმული საკითხები, რომლებიც დროულად და ღრმად არ განხილოს ცენტრალურ კომიტეტს.

უკრაინის კომპარტიისაგან სკკპ XXV ყრილობის დელეგატები, რომლებიც წარმოადგენენ რესპუბლიკის 2 მილიონ 633 ათას კომუნისტს, მთლიანად და სავსებით ეწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ყველა დებულებას, დასკვნასა და მოცანას, განაცხადა ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკიმ. გამოთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი ყრილობა ცხადყოფს სრულ ერთსულოვნებას ცენტრალური კომიტეტის მუშაობის, წამოყენებული ამოცანების შეფასებაში.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დიდი ყურადღება დაუთმო საგარეო პოლიტიკის დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის საკითხებს.

ილაპარაკა რა გასულ ხუთწლედში უკრაინის სს რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების შედეგებზე, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსში დინამიკურად, კარგი და სტაბილური ტემპით ვითარდებოდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი მეცნიერულ-საწარმოო პოტენციალი, გაუმჯობესდა ხალხის კეთილდღეობა და ამაღლდა კულტურა. ხუთი წლის მანძილზე გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 6,2 მილიარდ მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ახალ საფეხურზე ავიდა სოფლის მეურნეობა. მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცისა და რძის დამზადება 1,3-1,4-ჯერ გაიზარდა.

ორატორმა აღნიშნა, რომ მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულება ყველასაგან მოითხოვს ინიციატივას, სიბეჯითეს, ახალ მიდგომას საქმისადმი, ორგანიზატორულ და იდეოლოგიური მუშაობის შედეგიანობის ამაღლებას. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას ხელ შეუწყობს მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების მაღალეფექტიანი მუშაობისათვის ყველა პირობის შექმნა. მან ყურადღება დაუთმო იმას, რომ საჭიროა კვლავაც გააუმჯობესონ მუშაობა სახელმწიფო ორგანოებმა, პირველ რიგში სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახმომარაგებამ და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა.

ჩვენი პარტია, თქვა ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკიმ, მაღლა ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციურ დროშას, პირნათლად ასრულებს თავის ისტორიულ მისიას. XXIV ყრილობის შემდეგ განვლილი დროის მანძილზე კიდევ უფრო გაიზარდა მისი, როგორც საბჭოთა ხალხის პოლიტიკური ბელადის, ხელმძღვანელი და წარმართველი, როლი. ეს არის ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს დამსახურება. ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სამდივნოს მთელ მრავალფეროვან საქმიანობას ახასიათებს მეცნიერული და მიზანდასახული მიდგომა, რეალიზმი და შორსმჭვრეტელობა, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების ერთგულება, შემოქმედებისა და ნამდვილი კოლეგიურობის ვითარება.

ორატორმა განაცხადა, რომ საანგარიშგებო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე უკრაინის კომპარტიის XXV ყრილობაზე კომუნისტებმა დიდი ქმაყოფილებით, გულწრფელი მადლიერებითა და გულთბილად ილაპარაკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თვალსაჩინო წვლილზე პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. მტკიცე მარქსისტ-ლენინელის შესანიშნავმა თვისებებმა ლეონიდ ილიას-ძეს — ჩვენი პარტიის საყოველთაოდ აღიარებულ ლიდერს — მოუპოვეს საბჭოთა ხალხის, ყველა მშრომელის დიდი პატივისცემა, ჩააყენეს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეთა, ჩვენი დროის ყველაზე ავტორიტეტიან პოლიტიკურ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა რიგებში.

ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკიმ განაცხადა, რომ უკრაინის კომპარტია და ხალხი მზად არიან გადაწყვიტონ დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებსაც სკკპ XXV ყრილობა დასახავს.

ტრიბუნაზეა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დ. ა. კუნაევი. მან თქვა: სკკპ ცენტრალური კომიტეტი, რომელიც განუხრელად ახორციელებს პარტიის გენერალურ ხაზს, მუდამ სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის მოთხოვნათა სიმაღლეზე იყო და უზრუნველყოფდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების, მისი საერთაშორისო იტორიტეტის შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, საბჭოთა ხალხის ძმობისა და ერთობის დამკვიდრებას. საანგარიშო მოხსენებაში ყრილობის, ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე ამომწურავი სისრულითაა წარმოდგენილი თუ რა მრავალმხრივ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან ლენინური ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, მთელი პარტია, რომლებმაც განვლილ ხუთწლედში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის ამოცანები გადაწყვიტეს. პარტია ყრილობას შეეგება არა მარტო უდიდესი შედეგებით, არამედ ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების დიდი შთამბეჭდავი პროგრამითაც.

ყაზახეთის კომუნისტთა 660-ათასიანი არმიის დელეგაცია მთლიანად და სავსებით ეწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ გზას და პარტიულ საქმიანობას, მხურვალედ უჭერს მხარს მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს, მიაჩნია, რომ იგი არის ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავებისა და მსოფლიო სოციალიზმის განმტკიცებისათვის მოქმედების ნაცადი საფუძველი. და როგორ შეიძლება არ მოვიწონოთ მშობლიური პარტიის გეზი, როცა მისი პოლიტიკა ხორციელდება ლენინური პატიოსნებით, მაღალ დონეზე, განსაკუთრებით ეფექტიანობით და უკუგებით.

ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, მთელი პარტიის შეწყობილი, განსაკუთრებით ნაყოფიერი საქმიანობის უზრუნველყოფაში ფასდაუდებელია ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის — ჩვენი რეგოლუციური ეპოქის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის — როლი. მისი სახელი, სიტყვა და საქმე შერწყმულია დედამიწის მშრომელ ადამიანთა შეგნებაში, კარგად იცნობენ ლეონიდ ილიას-ძეს, როგორც მშვიდობის, ნამდვილი სოციალიზმის სამართლიანობის, დაუცხრომელ ქომაგს, როგორც კაცს, რომლის ავტორიტეტს დღენიადაგ განამტკიცებს ერთსულოვნება მთელი საბჭოეთისა, რომელიც ზუსტი ლენინური კურსით მიდის პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისაკენ.

ორატორმა აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწია XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ. სწორედ ამიტომ ყაზახეთი, რომელსაც არც წინათ აკლდა ეკონომიური სიძლიერე და სულიერი სილამაზე, თითქოს გაახალგაზრდავდა განვლილ ხუთწლედში, რომელიც ნამდვილად საეკეთესო საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში. ყაზახეთის ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა ვითარდებოდა XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად. ახლა რესპუბლიკაში არ არის დარგი, რაიონი, სოფელი, აული, სადაც არ მომზდარიყოს განსაკვირებელი ცვლილებანი კომუნისტური პარტიის ნებით.

საანგარიშო პერიოდში დაძაბულად იმუშავეს რესპუბლიკის მბჭენელ-მთესველებმა და მეცხოველეებმა.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია საშუალო წლიური გაანგარიშებით 14 პროცენტით გაიზარდა, მნიშვნელოვნად განმტკიცდა მეურნეობათა ეკონომიკა.

(გაგრძელება მე-3 გვ.).



მოსკოვი, წითელი მოედანი. 1976 წლის 25 თებერვალი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის გვირგვინით შემკობის დროს.

(საკდესის ფოტო.)

ყრილობისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმი

„საბჭოთა სპორტსმენები — სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს“ — ასე ეწოდებოდა ზეიმს, რომელიც გაიმართა 25 თებერვალს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში. საუკეთესოთა შორის ხაუკეთესონი — ოლიმპიურ ასპარეზობათა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები, აგრეთვე ახალგაზრდა სპორტსმენები გამოვიდნენ ამ დღეს ყრილობის მოსაწვეოთა წინამე.

ახალგაზრდობის სილამაზისა და ძლიერების დღესასწაულს დაესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრეჩკო, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ა. კუნაევი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. ნ. დემიჩევი, პ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, გ. ვ. რომანოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, კ. თ. კატუშევი, რომელთა შემოსვლას ცენტრალურ ლოჟაში შეკრებილნი მკუხარე ტაშით შეხვდნენ.

მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ასპარეზობათა მრავალგზის ჩემპიონმა ირინე როდნინამ საბჭოთა სპორტსმენების სახელით გულთბილი მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას, ასე დღეხიადგ რომ ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.

ჩემპიონთა ჯგუფმა დარბაზის ტაშის გრიალში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა საბჭოთა სპორტსმენების პატაკი სკკპ XXV ყრილობისადმი. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების სახელით, რომელმაც ავსტრიაში „თეთრ ოლიმპიადაზე“ ყველაზე მეტი — 13 ოქროს, 6 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, — სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ვლადისლავ ტრეტიაკმა განაცხადა, რომ საბჭოთა ოლიმპიელებმა თავიანთი გამარჯვება მშობლიური კომუნისტური პარტიის ახლანდელ ყრილობას მიუძღვნეს.

სპორტის ოსტატებმა სასახლის იმპროვიზებულ არენაზე, ყინულის მოედანზე შეკრებილთ უჩვენეს თავიანთი ხელოვნება.

გამოვიდნენ სახელოვანი ტანმოვარჯიშენი ლუდმილა ტურიშჩევა, ოლგა კორბუტი და ნიკოლოზ ანდრიანოვი, მსოფლიოს ანსოლუტური ჩემპიონი მხატვრულ ტანვარჯიშში გალინა შუგუროვა, მსოფლიოს ჩემპიონები აკრობატიკაში ტატიანა კრივცოვა და ვიაჩესლავ კუზნეცოვი. მქუხარე ტაშით შეხვდნენ ფიგურისტებს — მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონებს ლუდმილა პახომოვასა და ალექსანდრე გორშკოვს, ინსბრუკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს ვლადიმერ კოვალიოვს, 12 წლის მოსწავლეს ლენა ვოდორეზოვას.

გულთბილად შეხვდნენ ნორჩ სპორტსმენთა გამოსვლას.

ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრებაში. ამის ცოცხალი ილუსტრაცია იყო ფიზკულტწუთი, რომელიც მაყურებლებს ჩაუტარა ერთ-ერთმა ნორჩმა ტანმოვარჯიშემ.

დარბაზში იყვნენ სკკპ XXV ყრილობის სტუმრები — კომუნისტური, შუმათა ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების დელეგაციათა მეთაურები და წევრები. (საკდესი).

ნოგათეგი — ყრილოგას

შენთვის, ჩემო დედასამშობლო!

□ ზესტაფონის რაიონის მეცხოველეებმა 22 თებერვლისათვის შეახრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ორი თვის გეგმები და ვალდებულება იკისრეს პირველი კვარტალია დაელეგა 20 მარტისათვის შესასრულონ. ეს რედაქციის აცნობა პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. მერკვილაძემ.

□ ქარელის რაიონის მშრომელებმა ყრილობის გახსნის დღისათვის გადაჭარბებით შეასრულეს რძის წარმოებისა და დამზადების ორი თვის გეგმები. შარშანდელი წლის ამავე პერიოდთან შედარებით წარმოებულია 500 ცენტნერით მეტი რძე. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ორი თვის დაალება შესრულებულია 102,2 პროცენტით; ხორცის დამზადებისა — 123 პროცენტით. ეს რედაქციას აცნობეს პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰ. ხუციშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ბაბლიძემ.

□ ხულოს რაიონის სოფელ საკიხურის კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია რედაქციას აცნობებენ, რომ სკკპ XXV ყრილობის გახსნის დღისათვის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა.

□ ამბროლაურის რაიონის მეცხოველეები ახალი შრომითი გამარჯვებით შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას. მათ პირნათლად გაანაღდეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება — სამშობლოს უპატაკეს ხორცის დამზადებას ნახევარი წლის დაალების შესრულება. სახელმწიფოს ჩაბარდა 1.509 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 1.450 ცენტნერისა.

ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შარაბიძემ.

მხურვალე მონოგება

ახალი ენთუზიაზმით

ზესტაფონის კაბელის ქარხნის მშრომელებმა ტელევიზორით კოლექტიურად მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“. ამ დიდმა ისტორიულმა დოკუმენტმა ახალი ენთუზიაზმი შეგვმატა, ჩვენი ცხოვრების შემდგომი აყვავების დიდი პერსპექტივები დაგვანახა, სამშობლოს ძლიერებით გამოწვეული სიამაყის გრძნობა გაგვიაკეცა.

ჩვენმა კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა თებერვლის ეს დღეები და მარტი დამკვრელურად გამოაცხადოს და იკისრა ვალდებულება კვარტალის დავალება 28 მარტს გაანაღდოს, დაზოგოს 15 ათასი მანეთის ნედლეული, 20 პროცენტამდე გაადიდოს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 20 კილომეტრი კაბელი.

ი. სხილაძე,
ზესტაფონის კაბელის ქარხნის ზენაკალი.

მეცნიერთა წვლილი

უდიდესი ყურადღებით იხმენდნენ ქართველი მეცნიერები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებას პარტიის XXV ყრილობაზე. ეს კომუნისტისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ნათელი ლენინური პროგრამაა. მოხსენება სახავს ხალხის ცხოვრებისა და შრომის დიდ პერსპექტივებს. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა მეცნიერების როლს. აღვზრდილთ ღირსეული, მაღალკვალიფიციური კადრები, — აი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის, ამოცანა.

ჩვენ, უნივერსიტეტის მეცნიერი ქიმიკოსები, ვადაგოგები არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას, გამოცდილებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციურ ქიმიკოსთა კადრების აღსაზრდელად.

ი. გვერდწითელი,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

26 თებერვალი

„პრავდის“ ფურცლებზე

გაზეთი განაგრძობს სკკპ XXV ყრილობის მასალების ბეჭდვას.

წერილების, დეპეშების, შრომითი პატაკების დიდ ნაკადს იღებს ამ დღეებში „პრავდის“ რედაქცია. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ისინი ერთსულოვნად აცხადებენ: „პარტიის საქმე ხალხის საქმეა“. სწორედ ამ საერთო ანშლაგით გაზეთი აქვეყნებს მშრომელთა გამოხმაურების ერთ ნაწილს.

სათაურით — „დიადი ლენინური ერთობა“ — მეორე გვერდზე დაბეჭდილია რეპორტაჟი კრემლის ყრილობათა სასახლიდან.

მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა ჭეშმარიტად უდიდეს ყურადღებას იჩენს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების მიმართ. ხუთივე კონტინენტის პრესის, რადიოს და ტელევიზიის მიმომხილველთა აზრით, ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც უეჭველად დიდ ზეგავლენას მოახდენს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაზე. „მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის“, ასეა დასათაურებული მერვე გვერდზე მსოფლიოს პრესის გამოხმაურება სკკპ XXV ყრილობის გამო.

ПРАВДА

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა წარმოუდგინა ყრილობას, ხალხს, მთელ მსოფლიოს, უეჭველია, ღირსეულ ადგილს დაიკავებს ეპოქის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს შორის. მოხსენებაში დიდი მეცნიერული სიღრმით არის განხილული განვითარებული სოციალიზმის აქტუალური საკითხები, კომუნიზმისაკენ მისი შემდგომი წინსვლის გზები.

ჩვენი წინსვლის კანონზომიერებათა რთული დიალექტიკა ისეთია, რომ, ერთი მხრივ, პარტიისაგან, მისი ხელმძღვანელი შტაბისაგან საზოგადოება, კლასები, სოციალური ფენები და ჯგუფები, რესპუბლიკები, პიროვნებები იღებენ პოლიტიკურ ღირებულებებს, რომლებიც ხალხს უცისკროვნებენ კომუნისტური მომავლის გზას, და, მეორე მხრივ, თვით ხალხი — ისტორიის შემოქმედი — ამდიდრებს პარტიას თავისი სოციალური შემოქმედების უბადლო ისტორიული გამოცდილებით. და ეს პროცესი, განუწყვეტელივ რომ ვითარდება, ჭეშმარიტად ლენინურად არის გაშუქებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

დიალექტიკური სპირალით აღმავალი ამ უწყვეტი ციკლის ცენტრში დგას ადამიანი, დგას პიროვნება — საზოგადოების მთავარი აღმშენებელი ძალა.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებიდან, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური გზიდან და პრაქტიკული საქმიანობიდან ნათლად ჩანს, რომ ადამიანის ყოველმხრივი სრულყოფის, პიროვნების თავისუფლების, სიტყვის თავისუფლებისა და მოქმედების თავისუფლების პრობლემებსა და პარამეტრებს პარტია განიხილავს საზოგადოების, რესპუბლიკების კომპლექსური სოციალურ-ეკონომიური განვითარების, ხალხთა აყვავებისა და დაახლოების ამოცანების ფონზე. აი ეს არის ნამდვილი, რეალური სოციალისტური დემოკრატია. ეს ერთხელ კიდევ უნდა ითქვას, რადგან საზღვარგარეთ ბევრ წრეში, ზოგიერთ ჩვენს მეგობარს შორისაც, ამ ბოლო ხანს მოდად იქცა მსჯელობა სსრ კავშირში სოციალისტური დემოკრატიის ნაკლოვანებათა შესახებ.

საოცარია, პეკინელ პროვოკატორებს, რომლებიც თვითონ დღედაღამ მსოფლიო ბატონობაზე ფიქრობენ, როგორ უბრუნდებათ ენა, როცა „საბჭოთა ჰეგემონიზმზე", „შოვინიზმზე" ყბედობენ. მაო ძედუნის ცდები — შეცვალოს ლენინიზმი მაოიზმით, განწირულია. ჩინეთის მომავალია არა მაოიზმი, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმი! (ტაში).

ამხანაგებო! როცა ვლაპარაკობთ ჩვენი ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების გაძლიერების, გაღრმავების როგორც ჩვენი ზრდის უდიდესი მატერიალური და სულიერი რეზერვის შესახებ, როგორც პიროვნების თავისუფლებისა და ხალხთა თავისუფლების, საბჭოთა საზოგადოებაში დემოკრატიზმის უმაღლესი გამოვლინების შესახებ, ჩვენ ნათლად ვხედავთ პრობლემის მეორე მხარესაც, არსად არ არის ისე საჭირო უმაღლესი დისციპლინა და უმაღლესი ორგანიზაცია, როგორც თავისუფალი ადამიანების, თავისუფალი ერებისა და თავისუფალი რესპუბლიკების სახელმწიფოში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომუნისტთა საქმიანობის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ სწორედ თავისუფლებისა და დისციპლინის, ზრუნვისა და მომთხოვნელობის, უფლებებისა და მოვალეობების, საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების დიალექტიკური ერთიანობით ვლინდებოდა და ვლინდება საბჭოთა დემოკრატიზმის — როგორც იმ უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებებს რესპუბლიკის პოლიტიკურ. სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

ლენინური პარტიის XXV ყრილობაზე საქართველოს კომუნისტები მოვიდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი განსაკუთრებული მადლიერებით აღსავსენი. რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ღრმა ანალიზს საფუძველზე ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". გარდა ამისა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

ამის შესაბამისად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის საანგარიშო პერიოდიც, უდავოდ, ორ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე, აღნიშნულ დადგენილებამდე, მკვეთრად ქვეითდებოდა რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალი, რაც წლების განმავლობაში შეიმჩნეოდა. კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმის მოდუნება, ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის გამოცოცხლება. მეცხრე ხუთწლედის დირექტივების შესრულებას ჩაშლის საფრთხე შეექმნა.

მას შემდეგ, რაც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები, რესპუბლიკის მშრომელები უმაგალითო ენთუზიაზმმა მოიცვა. ხუთწლედის მიჯნებისათვის ბრძოლა მათი პრესტიჟის, მათი ღირსების და მამაცობის საქმე გახდა.

გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანებმა შეუძლებელი შეძლეს, მთლიანად დაძლიეს ჩამორჩენა, რომელიც პირველ პერიოდში გვქონდა. 1973-1975 წლებში სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა 9,6 პროცენტი შეადგინა, შრომის ნაყოფიერებისამ — 7,8 პროცენტი, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება — 1970-1972 წლების საშუალო წლიურ დონესთან შედარებით 18 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შეიქმნა ახალი დარგები, კერძოდ, სპილენძის, ფაიფურის წარმოება და სხვები. განსაკუთრებით სასიხარულო იყო ჩვენთვის, რომ საქართველოში აღმოჩნდა ნავთობის დიდი საბადოები.

საქართველოს კომუნისტები ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXV ყრილობას. ხუთწლედი შესრულებულია! საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის რესპუბლიკა მესამე წელია ზედიზედ ჯილდოვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. (ტაში).

ჩვენი სიხარული მართლაც რომ უსაზღვროა. მაგრამ ეს გამარჯება მარტო ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის გამარჯვება როდია. საქართველოს მშრომელებმა მთხოვეს ამ მაღალი ტრიბუნიდან ჩვენს ყრილობაზე შეკრებილი დელეგაციებისათვის, ყველა რესპუბლიკისა და ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებისათვის მხურვალე მადლობა გადამეხადა იმ დიდი ძმური დახმარების გამო, რომელსაც დღენიადაგ ვგრძნობდით ხუთწლედის მიჯნებისათვის ბრძოლაში. (ტაში).

ყოველივე ის, რასაც უკანასკნელი წლების მანძილზე მივაღწიეთ რესპუბლიკაში, ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია იმისა, რომ გაიმარჯვა სოციალისტურმა დემოკრატიამ, პიროვნების თავისუფლებამ, მე ვიტყოდი, პიროვნების მოქმედების თავისუფლებამ, იმ პიროვნებისა, რომლის მამოძრავებელი ძალა, მოქმედების ძირითადი მოტივია არა ეგოიზმი, არამედ საერთო-სახელმწიფო და, თუ გნებავთ, სახელმწიფოთაშორისო სოციალისტური ინტერესები, ერთმანეთის დახმარების, ერთმანეთის გატანის, ერთმანეთის გამდიდრების, ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეალები. აქ მთავარია სწორედ მოტივები, რომლებსაც სოციალურ მოძრაობაში მოჰყავს ხალხი და პიროვნებები. აკი ამბობდა ლენინი, „...მთელი ისტორია სწორედ პიროვნებათა მოქმედებისაგან შედგებაო...".

მეათე ხუთწლედი ჩვენთვის ძნელი ხუთწლედი იქნება. სახალხო მეურნეობის განმსაზღვრელ დარგებში რესპუბლიკა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

XXV ყრილობისათვის ცენტრალური კომიტეტის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ საკავშირო ორგანოებს ვთხოვეთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდება ჩვენთვის დაეგეგმათ არა 35-39 პროცენტით, როგორც ეს პროექტით არის გათვალისწინებული, არამედ 37-41 პროცენტით. (ტაში).

მაგრამ არც ეს არის ზღვარი. ჩვენ სხვა რეზერვებსაც ვეძებთ. საკავშირო ორგანოებში დაგვპირდნენ, რომ სერიოზულად დაგვეხმარებიან რესპუბლიკის მევენახეობისათვის უნიკალური ზოგიერთი რაიონის რწყვის საკითხების გადაწყვეტაში, კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოთა დაჩქარებაში, გადამუშავებელი მრეწველობის მნიშვნელოვან განვითარებაში. თუ ყველა ეს დაპირება შესრულდა, მაშინ ყურძნის წარმოებასა და შესყიდვას, მაგალითად, წელიწადში მილიონ ტონამდე გავადიდებთ, რამდენჯერმე გავზრდით მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოების გამოშვებას, მივაღწევთ ჩაის, ციტრუსის, ხილისა და ბოსტნეულის წარმოების მკვეთრ აღმავლობას, დავძლევთ სერიოზულ ჩამორჩენას მეცხოველეობაში.

მნიშვნელოვანი რეზერვები გვაქვს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში. დიდი პერსპექტივებია მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის მხრივაც. ამასთან ჩვენ ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ ჩვენი ზრდის მთავარი რეზერვია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების ეფექტიანი განხორციელება.

საქართველოს დელეგაციამ დამავალა გულითადი მადლობა გადავუხადო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საკავშირო სამინისტროებს ამ დადგენილების შემუშავებაში სერიოზული დახმარებისათვის. მაგრამ განსაკუთრებით დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ იმ დახმარებისათვის, რომელიც უნდა გაგვიწიონ. (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში), მხედველობაში გვაქვს, რომ საქართველოს შესახებ დადგენილებით გათვალისწინებული ყველა ობიექტი არ არის შეტანილი მეათე ხუთწლედის გეგმაში.

შეიძლება გვკითხონ: თუ ყველა ობიექტი არ არის შეტანილი გეგმაში, მაშ მადლობას რისთვისღა იხდითო? აქ უნდა გავიხსენო საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ერთ-ერთი დელეგატის გამოსვლა, რომელმაც თქვა, რომ ჩვენ ზემდგომ სამეურნეო ხელმძღვანელებთან ურთიერთობის ახალი ფორმა გამოვნახეთო: წინათ, როცა მათ მწვავედ და მკაცრად ვაკრიტიკებდით, წყენა წყენად რჩებოდა, გადაუჭრელი პრობლემები კი გადაუჭრელ პრობლემებადო. ახლა ჩვენ შევცვალეთ ტაქტიკა — წინასწარ, ასე ვთქვათ, ავანსად, ვაქებთ ამხანაგებს: ისინიც კმაყოფილი არიან, და საკითხებიც უფრო იოლად წყდებაო. (გამოცოცხლება დარბაზში. ტაში).

სწორედ ასეთი მადლიერების სიტყვებით მინდა მივმართო დღეს საკავშირო მინისტრებს, დიდად პატივცემულ ამხანაგებს ბუტომას, კოსტოუსოვს, დოენინს, ეიგალინს, რუდნევს, ნოვოსიოლოვს, მეტადრე — ამხანაგ გრიშმანოვს. (ტაში).

მადლობა, ამხანაგებო, მადლობად დარჩეს, მაგრამ საქმეც საქმედ. ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა, „...თუ ჩვენ კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას მუშებსა და გლეხებს, თავად მოვალენი ვართ ჩვენით დავიწყოთ". ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილებები უნდა სრულდებოდეს. (ტაში).

პარტიის მითითებათა საფუძველზე მომავლის გაბედულ გეგმებს რომ ამუშავებენ, საქართველოს კომუნისტებს ზრდის ერთ-ერთ მთავარ რეზერვად ადამიანი, ჩვენი თანამედროვე მიაჩნიათ.

ჩვენი მრავალმხრივი პერსპექტიული გეგმების მიზანია ადამიანის სრულყოფა, მისი ყველაზე სრული პროფესიული თვითგამოხატვა, მისი ზოგადი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლება, ადამიანში ადამიანური თვისებების აღზრდა, ჩვენი იდეური და ზნეობრივი პრინციპების სულისკვეთებით თვითეული პიროვნების ჩამოყალიბება, შრომის კულტის დამკვიდრება საზოგადოების ყოველ უჯრედში, ყოველ ოჯახში.

ჩვენი რესპუბლიკის ახლო წარსულის გამოცდილება მოწმობს, რომ საზოგადოების ზედნაშენის სფეროში ყოველგვარ კომპრომისს ეკონომიკის პოტენციალის დაქვეითება მოსდევს. უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ჩვენი თანამედროვე ვერ შელევია წარსულის გადმონაშთებს, კონსერვატიულ ჩვეულებებსა და ტრადიციებს, კერძომესაკუთრულ ტენდენციებსა და ეგოიზმს, კარიერიზმსა და მლიქვნელობას, პროტექციონიზმსა და ყოყოჩობას. ყოველივე ეს სერიოზულად ზღუდავს პიროვნების საზოგადო და პოლიტიკურ აქტივობას, აფერხებს იმ სფეროების ინტელექტუალიზაციის პროცესს, სადაც ადამიანი მატერიალურ და სულიერ დოვლათს ქმნის.

საზოგადოების წევრთა განთავისუფლება ამგვარი მანკიერებებისაგან, ისევე როგორც ღრმა ძვრები ეკონომიკის დარგში, ურთულესი რევოლუციური, დემოკრატიული პროცესია, რომელსაც თავისი თეორია და პრაქტიკა აქვს. ჩვენ საერთო მეცადინეობით, მოქმედების მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე უნდა ვაღრმავებდეთ, ვაკონკრეტებდეთ და ვხვეწდეთ მეცნიერებას, — ვუწოდოთ მას პირობითად კაცთმეცნიერება, ადამიანმეცოდნეობა. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა თვითეული პიროვნების შემდგომი სოციალიზაციის ოპტიმალური გზების განსაზღვრა. და სწორედ ეს არის საბჭოური დემოკრატიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი.

და ბოლოს, მოგახსენებთ ჩვენი ზრდის კიდევ ერთი რეზერვის შესახებ. საქმე ეხება ხელმძღვანელის პიროვნებას. უკანასკნელ წლებში კომუნისტებმა გაითვალისწინეს საზოგადოებრივი აზრი და იძულებული გახდნენ გამოეცვალათ რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური რგოლის ზოგიერთი ხელმძღვანელი. ამის საფუძველი კი ჰქონდათ. ამ აქციებს მოჰყვა საგრძნობი პოზიტიური ძვრები ცხოვრების ყველა სფეროში.

ადამიანებმა შვება იგრძნეს! ამ მოვლენის ახსნა არ არის დიდი ფილოსოფია. განვითარებული სოციალიზმი ისტორიაში არნახულ სამოქმედო ასპარეზს უქმნის ხელმძღვანელის პიროვნებას, ხალხის სამსახურში მისი პოლიტიკური, ინტელექტუალური და ორგანიზატორული უნარის უმაღლეს გამოვლინებას. და როცა ეს უნარი ჰარმონიულად ერწყმის სოციალისტური საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონებს და ამ საფუძველზე შექმნილი პროგრესის პოტენციური შესაძლებლობა რეალური სინამდვილე ხდება, მაშინ წინსვლის პრობლემა გადაჭრილია. ასეთია საქმის ვითარება მთელი ქვეყნის და ჩვენი საზოგადოების თვითეული უჯრედის მასშტაბით.

განვაგრძობ რა საუბარს ხელმძღვანელის პიროვნების შესახებ, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევზე. სიტყვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანზე — ეს მისი პიროვნების სადიდებელი სიტყვა კი არ არის, არამედ ნამდვილად პარტიული, საქმიანი საყრილობო საუბარია. ეს პრინციპული საკითხია. როცა ვცდილობთ თუნდაც ზოგადად გავაშუქოთ მისი პოლიტიკური, ინტელექტუალური, საქმიანი, ადამიანური ღირსებები, ჩვენ გვინდა ამით, როგორც მხატვრები ამბობენ, ესკიზურად მაინც მოვსახოთ ჩვენი პარტიისა და ხალხის ლიდერის, თანამედროვე სამყაროს უთვალსაჩინოესი მოღვაწის პორტრეტი, რომლის მაგალითით უნდა ვზრდიდეთ საკუთარ თავსა და სხვებს, რომელსაც ყველაფრით უნდა ვბაძავდეთ, რომლისგანაც უნდა ვსწავლობდეთ, თუ როგორ ვიშრომოთ ლენინურად, ვიაზროვნოთ ლენინურად, ვიცხოვროთ ლენინურად. (ხანგრძლივი ტაში).

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ერთ-ერთი საუკეთესო თვისება ის არის, რომ იგი არ ეხვევა ზეკაცის მანტიაში, რომ იგი ფიქრობს და მუშაობს არა ყველას მაგივრად, არამედ, შეაქვს რა უდიდესი პირადი წვლილი საერთო საქმეში, ქმნის პირობებს, რომელთა დროს ყველას შეუძლია იაზროვნოს შემოქმედებითად, (ტაში), რომ იგი დაუფლებულია უმაღლეს ხელოვნებას შეაკავშიროს და წარმართოს დიდად ერუდირებული, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული ადამიანების—ლენინელების კოლექტივი, რომელიც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ბირთვს წარმოადგენს, გადაადგოს ადამიანთა ფიქრები და აზრები პოლიტიკური და ინტელექტუალური ღირებულებების ზოდებად, შეამოწმოს ისინი მეცნიერებისა და პრაქტიკის უმაღლესი კრიტერიუმებით, და გამიდიროს ამ ღირებულებებით პარტია და ხალხი. ამ ჭეშმარიტების საუკეთესო დემონსტრაციაა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება. (ტაში). ეს კოლექტივი, ეს ბირთვი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროა.

მაღალი კომპეტენტურობა, მასშტაბურობა და კონკრეტულობა, ჰუმანურობა და კლასობრივი შეურიგებლობა, ლოიალობა და პრინციპულობა, ადამიანის სულში ჩაწვდომის ხელოვნება, ადამიანთა შორის ნდობის, პატივისცემის, მომთხოვნელობის ატმოსფეროს, ისეთი ვითარების დამკვიდრების უნარი, რომლის დროსაც გამორიცხულია ბრმა შიში, ეგოიზმი, შური და ეჭვიანობა, — აი თვისებები, რომლებითაც, ბევრ სხვა თვისებასთან ერთად, უნდა მივბაძოთ და ვბაძავთ კიდეც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს. (ხანგრძლივი ტაში).

ძველად ამბობდნენ, რაც უფრო მოწმენდილია ცა, მით უფრო მაღლა შეიძლება აფრენა, მით უფრო მეტი ძალა აქვთ ფრთებს. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, მისი სახელოვანი თანამებრძოლნი და მთელი ჩვენი პარტია გვიქმნიან ამ მოწმენდილ და ულრუბლო ცას, გვიქმნიან ატმოსფეროს, როცა ადამიანები მთელი თავიანთი არსებით მიილტვიან მაღლა, მოწმენდილი ცისაკენ, კომუნიზმის სპეტაკი, ნათელი მწვერვალებისაკენ. (ხანგრძლივი ტაში).

დაბოლოს, კიდევ ერთი რამ. 1923 წლის 6 მარტს უკვე სარეცელს მიჯაჭვულმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა შემდეგი სიტყვებით მიმართა საქართველოს კომუნისტებს: „პატივცემულო ამხანაგებო! სულითა და გულით თვალყურს ვადევნებ თქვენს საქმეს... ვამზადებ თქვენთვის ბარათებსა და სიტყვას... პატივისცემით ლენინი". ამ ფრაზით მთავრდება ლენინის გიგანტური მემკვიდრეობა.

ვლადიმერ ილიას-ძემ ვეღარ შეძლო წერილი მოეწერა საქართველოს კომუნისტებისათვის. მაგრამ მას შემდეგ მოსკოვიდან, კრემლიდან საქართველოს კომპარტიაში მრავალჯერ მოსული ლენინური ზრუნვით გამსჭვალული წერილები და დოკუმენტები. ორი ასეთი ნამდვილად ლენინური დოკუმენტი — ცენტრალური კომიტეტის ორი დადგენილება — ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ინიციატივით შეიქმნა ყრილობიდან ყრილობამდე.

საქართველოს, ამხანაგებო, მზიურ ქვეყანას უწოდებენ. მაგრამ ჩვენი ჭეშმარიტი მზე აღმოსავლეთიდან კი არა, ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ამობრწყინდა, ამობრწყინდა ლენინური იდეების მზე. საქართველო სამხრეთის თბილი რესპუბლიკაა, მაგრამ ჭეშმარიტი სითბო ჩვენთან შემოვიდა ჩრდილოეთიდან, დარიალის ხეობიდან იგი — ლენინური იდეების სითბო — ჩვენთან მოვიდა ისტორიული საქართველოს სამხედრო გზით, რუსეთ-საქართველოს გზით. (ტაში). და ამას აღვნიშნავთ განსაკუთრებული სიხარულით, განსაკუთრებული სიამაყით სწორედ დღეს, 25 თებერვალს, საბჭოთა საქართველოს დაბადების, რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს. (ტაში).

უდიდესი მადლიერების ნიშნად ქართველმა ხალხმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ერთ-ერთი პირველი ძეგლი დაუდგა რუსეთის გულიდან მომავალ საქართველოს სამხედრო გზაზე. ეს ძეგლი ლენინის საქმისადმი ჩვენი ერთგულების მარადიული სიმბოლოა, ჩვენს დიდ, უმძლავრეს და ბრძენ ძმასთან — რუს ხალხთან, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ურღვევი მეგობრობის სიმბოლოა. (ხანგრძლივი ტაში).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩაისსაშენებელი ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდმწარმოებელი ... [illegible] ... ლების აღტურვაში დიდი [illegible] ... ლენინი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის დაჯილდოდეს სსრ კავშირის ჩაიხმშენებლობისა და [illegible] ... ლების სამინისტროს თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩაისაშენებელი ქარხანა შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის დაჯილდოდეს სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის **გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახალი მძლავრი სამგაზისტრალო და სამრეწველო ელმავლების, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისათვის საჭირო დიდმწარმოებლური ელექტროტბადელერების წარმოების ორგანიზაციისა და მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის დაჯილდოდეს სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს **თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანა შრომის** წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევისათვის დაჯილდოდეს საქართველოს სსრ კავშის მრეწველობის სამინისტროს **საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი" შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

№ 13 სამშენებლო ტრესტის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებისა და სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის დაჯილდოდეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს **№ 13 სამშენებლო ტრესტი „საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 13 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

№ 5 საერთო-სამშენებლო ტრესტის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო მშენებლობის განვითარებაში, მეცხრე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და საწარმოო ობიექტების, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების ასამაღლებლად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, წარმოების ეფექტიანობის და სამუშაოთა ხარისხის ამაღლებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის დაჯილდოდეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს **№ 5 საერთო-სამშენებლო ტრესტი „საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 16 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის ეკონომიკის მეგობარ-მეურეობა-მეურეობის საბჭოთა მეურეობის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეცხრე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ **წითელწყაროს რაიონის ეკონომიკის სახელმწიფო კოლმეურნეობა** დაჯილდოდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეცხრე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონის **ცეცხლაურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა** დაჯილდოდეს **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ფოთლეწყაროს რაიონის ეკონომიკის სახელმწიფო კოლმეურნეობის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეცხრე ხუთწლედის გეგმების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ **ფოთლეწყაროს რაიონის ეკონომიკის სახელმწიფო კოლმეურნეობა** დაჯილდოდეს **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წლის 19 თებერვალი.

ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ!

(დასასრული)

მეტად არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, რეპუბლიკამ ხუთწლიდის მანძილზე მოიწია 108 მილიონი ტონა პური, თითქმის 5 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე მერვე ხუთწლედში.

XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებამ ხელი შეუწყო დიდ სოციალურ ცვლილებებს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ცხოვრებაში.

ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ მოპოვებული წარმატებანი ლენინური ეროვნული პოლიტიკის კანონზომიერი შედეგია. დიდი რუსი ხალხის მეთაურობით ყველა საბჭოთა ხალხს საერთო ღონისძიებისა და თანამშრომლობის ნაყოფია. ჩვენი მიღწევები შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ყოველმხრივ გვეხმარებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომლის არაერთგზის ჩამოსვლამ რესპუბლიკაში, უურადღებამ და ყოფილმა რჩევამ — დარიგებებმა ხელი შეუწყვეს ყაზახთა შემოქმედებითის შრომასა და წარმატებებს.

ორატორი შეეხო საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და თქვა: კარგად გვახსოვს, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარი მეგობრობის, ურთიერთნდობისა და დახმარების საზღვარი იყო. ახლა ჩინეთში არ ცხრება ატომური ციებ-ცხელება და მილიტარისტული ფსიქოზი, ნერგავენ ანტისაბჭოურობას და ამ ანტისაბჭოურობასთან შეზავებულ ცილისმწამებლურ ჭორებს. თავანმინა მოქმედებით მაოისტებმა არსებითად პირი შეკრეს უკიდურეს საერთაშორისო რეაქციასთან. ყაზახეთის მოსაზღვრე სინძიანში ეროვნული უმცირესობებისადმი—ყაზახების, უიგურების, ყირგიზების, დუნგანებისადმი შოვინისტურმა პოლიტიკამ, მათი სრული უუფლებობა გამოიწვია. ვფიქრობ, რომ ეს ეროვნული უმცირესობანი, ისევე როგორც მთელი მშრომელი ჩინელი ხალხი, არ შეიძლება არ იყვნენ დაინტერესებული საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის გაუმჯობესებით. ამ ურთიერთობის აღდგენა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში აღნიშნული პრინციპებით დროული და სასარგებლო იქნებოდა. გონიერებამ და რეალიზმმა უნდა გაიმარჯვოს.

დასასრულ დ. ა. კუნაევმა თქვა: ყაზახეთის კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი XXV ყრილობას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროს აღუთქვამს, რომ ყაზახები კვლავაც დაუცხრომლად იშრომენენ საშობლოს, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის საკეთილდღეოდ.

ამ დღეებში, განაცხადა გამოსვლისას სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ვ. **რომანოვმა,** მთელი სიდიადით წარმოგვიდგება გასული ხუთწლეული, რომლის განმავლობაში კომუნისტურმა პარტიამ კოლოსალური გამოცდილება შეიძინა როგორც მთავარი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების, ისე ძირეული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში. ტეტიცია საბჭოთა სახელმწიფოს ნაბიჯი. უდიდესია ჩვენი მიღწევები. ყოველივე ეს ადასტურებს ისტორიულ პეშმარიტებას: ლენინური პარტიის სიტყვა და საქმე ერთია!

თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, ლენინიზმის ერთგულების ახალი დამაჯერებელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება XXV ყრილობისადმი. ამ თვალსაჩინო პოლიტიკურ დოკუმენტში პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ღრმად, ლენინისებრ ამომწურავად გააანალიზა თანამედროვე ქვეყნის საერთაშორისო ვითარება და საშინაო ცხოვრება, დასახა ჩვენი საზოგადოების შემდგომი პროგრესის შთამაგონებელი პროგრამა.

ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის დელეგაცია გამოხატავს კომუნისტების, ნახევარ მილიონიანზე მეტი არმიის, ყველა ლენინგრადელის ერთსულოვან აზრს და მთლიანად მხარს უჭერს საანგარიშო მოხსენების დებულებებსა და დასკვნებს, მხურვალედ იწონებს ცენტრალური კომიტეტის ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობას, იმ უდიდეს პირად წვლილს, რომელიც კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის ბრძოლაში შეაქვს თანამედროეობის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და სამდივნოს ენერგიული და მრავალფეროვანი საქმიანობა ხალხის სამსახურის მკაფიო მაგალითი, კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელების ნიმუშია. მეცნიერული მიდგომა, კოლექტიურობა გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, გერგილიანობა მათს რეალიზაციაში, უდიდესი ნდობა კადრებისადმი და მათდამი მაღალი მოთხოვნელობა, მჭიდრო კავშირი დგილმობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან და მათდამი აქტიური დახმარება—ჩვენი პარტიის ლენინური შტაბის მუშაობის ასეთი სტილი უზრუნველყოფს მისი მბარდი ავტორიტეტის, ხალხთან მონოლიური ერთიანობის მტკიცე საფუძველს.

ცენტრალური კომიტეტი თანამედროვრულად აყენებს და წყვეტს სოციალისტური ეკონომიკის განვითარების, მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფის კარდინალურ ამოცანებს. ამ დროს ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში, ხაზი გაუსვა ამხ. გ. ვ. რომანოვმა, ზოგადსახელმწიფოებრივი პრობლემების შემუშავება ორგანულად ეხამება ზრუნვას ქვეყნის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საწარმოო ძალების განუხრელი აღმავლობისათვის. ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციისათვის სხვა ცნობილ საერთო პარტიულ დოკუმენტებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულეს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებმა ლენინგრადის მრეწველობის კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის. წამყვანი დარგების და უდიდესი საწარმოების განვითარებისა და ტექნიკური განახლების, საფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სისტემის სრულყოფისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის უდიდეს დახმარების, პარტიის ეკონომიური სტრატეგიის ბეჯითად განხორციელების მეოხებით ლენინგრადისა და მისი ოლქის მშრომელებმა ვადამდე დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედის დავალებანი. 1975 წელს მიღწეული წარმოების საერთო მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება 1970 წლის დონეს.

ორატორმა თქვა, რომ მეცხრე ხუთწლედის მიღწევებში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალის — კლასი მუშათა კლასის სიმწიფე და თავდადება. მილიონობით ლენინგრადელი მუშა ჩაბმულია შეჯიბრებაში, რათა შრომის ნაყოფიერების გადიდების კომპლექსური გეგმების საფეძველზე ოთხ დღეში შეასრულოს ხუთი დღის დავალება. ახლა ეს შეჯიბრება იხვეწება, სულ უფრო კომპლექსურ ხასიათს იძენს, ძალას იკრებს დევიზით: „თვითეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან — კოლექტივის შრომის მაღალ ეფექტიანობამდე“.

ორატორმა აღნიშნა, რომ საანგარიშო მოხსენებაში ყურადღება დაეთმო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარებისა და მეცნიერების როლის ამაღლების საკითხებას, და თქვა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო გაერთიანებების შექმნასა და მუშაობის გაუმჯობესებას. დღეს უდიდეს საწარმოებთან ერთად ისინი უშიგენენ ლენინგრადის მთელი სამრეწველო პროდუქციის სამ მეოთხედს, მათ შემადგენლობაში შედის ასზე მეტი სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია. პრაქტიკულად გაერთიანებანი, როგორც ამას მოითხოვდა XXIV ყრილობა, ჩვენი მრეწველობის ძირითადი სამეურნეოანგარიშიანი რგოლი ხდება.

ლენინის საქმის უსაზღვროდ ერთგული, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მუშაურის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული ლენინგრადისა და მისი ოლქის კომუნისტები, ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა განახორციელონ ჩვენი დიადი ლენინური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი!

კვირეროვის ოლქის შახტ „ნაგორნაიას“ საწმენდი მექანიზებული ბრიგადის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ე. ი. **დროზდეცკიმ** თავის გამოსვლაში თქვა: უდიდესი ინტერესი, დიდი სხარიელისა და სიამაყის გრძნობა გამოიწვია ყველა ჩვენგანში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა. კიდევ ერთხელ ვიწმენდენით, თუ რა დიდი ცვლილებანი მოხდა ჩვენს ქვეყანაში სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ, თუ რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა მან ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეზე. ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ და პრინციპულად ასრულებენ ვ. ი. ლენინის ანდერძს, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს და ცოდნას ახმარენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, მისი ძლიერების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა **და კულტურის** ამაღლებას.

ორატორმა დაახასიათა მეცხრე ხუთწლედის მანძილზე კუზბასის მშრომელთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი და აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქვანახშირისა და თიხალის მრეწველობისა და საშახტო მშენებლობის მუშაკებისათვის დამატებითი შეღავათების მინიჭების შესახებ მეშახტეების მიმართ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალი გამოვლინებაა.

ზოგ-ზოგგან საზღვარგარეთ, თქვა შემდეგ ე. ი. დროზდეცკიმ, ომისათვის მზადებას გვაბრალებენ. ამ საპატიო ტრიბუნიდან მე მეშახტე მუშა, ჩემი ამხანაგების სახელით ვაცხადებ, რომ ყველა ჩვენგანისათვის სანუკვარი სურვილი იყო, არის და იქნება მშვიდობა. აი რატომაა, რომ მთელი საბჭოთა ხალხი ასე გულწრფელად უნდის მადლობას ჩვენს პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს იმ დიდი მეცადინეობისათვის, რომელიც ხორციელდება ქვეყნად მშვიდობის შესანარჩუნებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მკაფიოდ და დამაჯერებლად თქვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, დასძინა ორატორმა. ჩვენთვის, საბჭოთა მუშებისათვის, ეს განყენებული ცნება როდია. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მუშათა მსოფლიო ძმობას, ჩვენს შეკავშირებასა და სოლიდარობას უცილობლად მოჰყვება ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსპობა. საბჭოთა მუშათა კლასი, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, ბოლომდე უერთგულებს თავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის ინტერნაციონალური ერთობის დიად საქმეს.

—ჩვენმა ბრიგადამ კუზბასში ერთ-ერთმა პირველმა აითვისა ახალი საბჭოური სამთო მანქანები. მუშათა ამხანაგური ურთიერთდახმარების, შემოქმედებითი ძიების, ინიციატივის, მაღალი ტექნიკური და პროფესიული მომზადების მეოხებით უკანასკნელი რვა წლის მანძილზე ყოველდღიურად ვიღებთ ათაათ ტონაზე მეტ ქვანახშირს. კუზნეცკის ქვანახშირის აუზში უკვე 95 ასეთი ბრიგადა მოქმედებს. ამ ბრიგადების სულსა და გულს, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორებსა და სულისჩამდგმელებს ყოველთვის წარმოადგენენ და წარმოადგენენ კომუნისტები, მეშახტეთა ძველ გვარდიას ცვლის შესანიშნავი ახალგაზრდობა: შრომისმოყვარე, ცოდნისმოყვარე, თავისი უფროსი ამხანაგების ღირსი თაობა.

ილაპარაკა რა მეათე ხუთწლედში გადასაწყვეტ გრანდიოზულ ამოცანებზე, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გადაჭრით განმტკიცდეს შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ამაღლდეს კოლექტივის თვითეული წევრის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, შეიქმნას ისეთი მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უფრო საიმედონი იქნებიან ექსპლოატაციის დროს და ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, დაჩქარდეს შახტების რეკონსტრუქცია.

აღვთქვამთ სკკპ XXV ყრილობას, თქვა დასასრულ ე. ი. დროზდეცკიმ, რომ მთელ ჩვენს მგზნებარებას, მთელ ჩვენ მუშურ ოსტატობას კვლავაც მოვახმართ პარტიის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უსწრაფესად შექმნისათვის, იმ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელსაც მიიღებს ჩვენი პარტიული ყრილობა.

ახლა, როცა ჩვენი სამშობლო იწყებს კომუნისტური ცივილიზაციის მწვერვალზე ასვლის ახალ ეტაპს, განსაკუთრებული დამაჯერებლობით ვლინდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა დიადი ცხოველმყოფელი ძალა. საბჭოთა ადამიანებმა ეს გადაწყვეტილებანი არა მარტო გონებით, არამედ გულით მიიჩნიეს შობლიურ, ღვიძელ საქმედ, თქვა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პ. მ. **მაშეროვმა.**

მან ხაარი დაუჭირა წინადადებას, რომ მთლიანად იქნეს მოწონებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკულ საქმიანობა. ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ჩვენი ქვეყნის კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი, პროგრესული კაცობრიობა უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევენ იმ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებსაც შეიცავს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კურსმა ხორცი შეისხა მასშტაბურად შთამბეჭდავ წარმატებებში, რომლებიც ღირსეულ მატებენ ჩვენს პარტიას, გმირ საბჭოთა ხალხს, თქვა შემდეგ ორატორმა. ქალაქ ტოლიატის საავტომობილო ქარხანა, დასავლეთ ციმბირის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისება, რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზონის ვრცელი მიწების აღორძინების კომპლექსური პროგრამა, კამის საავტომობილო ქარხანა და ბაიკალ-ამურის მაგისტრალი — ხალხის ძალების მიზიდვის ეს და ბევრი სხვა ბოლოსი ცალკელმყოფლად ადასტურებენ საბჭოთაქის გოლიათურ ძალას, სსრ კავშირის ხალხთა მსარბრივ შრომითს გმირობას, თანამეგობრობასა და ინტერნაციონალურ ძმობას.

მეცხრე ხუთწლედი გახდა განვითარებული სოციალიზმის მესაძლებლობათა რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი შემობრუნებითი პუნქტი, ღირსშესანიშნაი ნიშანსეეტი იმისა, რომ უფრო მასშტაბურად და მრავალმხრივ გაუჭრიბესდეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის პირობები — გაიზარდოს სოციალური კეთილდღეობა და განმტკიცდეს პიროვნების ჰარმონიული განვითარების წინამძღვრები. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა ხალხის ეროვნული ერთიანობა და შეკავშირება ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური **კომიტეტის** გარშემო.

ბელორუსის შრომელებმა, რომლებიც ეყრდნობიან პარტიის სტრატეგიულ მითითებებსა და ბრძნულ წინასწარდასახულებებს, ცხოველმყოფელ ენერგიას იძენენ ჩვენი ქვეყნის მომძე ხალხთა ურთიერთგამამდიდრებელი თანამშრომლობისა და შეგობრობის წყაროდან, წარმატებით შეასრულეს სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით განსაზღვრული ძირითადი ეკონომიური და სოციალური ამოცანები, თქვა შემდეგ ორატორმა.

ეროვნული შემოსავალი ხუთწლედის მანძილზე 47 პროცენტით გაიზარდა. მრეწველობამ ხუთწლიანი გეგმა შეასრულა ვადამდე —4 წელიწადსა და 7 თვეში. წარმოების მოცულობა გადიდდა 64 პროცენტით ინდუსტრიის ძირითადი ფონდები გაიზარდა 1,7-ჯერ და მეტად, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კი — გასამკეცდა.

უზრუნველყოფილია წარმოების მნიშვნელოვანი მატება სოფლის მეურნეობაში. მთლიანი პროდუქცია რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მერვე ხუთწლედთან შედარებით 22 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვანი გადაჭრებები შესრულდა სახელმწიფოსათვის ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. მწყობრში ჩადგა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად სახელმწიფო გეგმებით გათვალისწინებული ყველა უმნიშვნელოვანესი ობიექტი. არსებითად გაუმჯობესდა თვითეული ოჯახის ცხოვრება.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემულია კომუნისტური აღმშენებლობის გზაზე ქვეყნის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური, სულიერი პროგრესის დიდმასშტაბიანი, შთამბეჭდავი პროგრამა. ბელორუსიის პარტიული ორგანიზაცია, მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა არათუ შეასრულონ, არამედ გადააჭარბონ მეათე ხუთწლედი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის მნიშვნელოვანი ზრდის დასახულ მაჩვენებლებს, თქვა ამხ. პ. მ. მაშეროვმა.

წარმოების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი რეზერვი მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე პრაქტიკის უსწრაფესი დანერგვა. ორატორი შეეხო აკადემიური და დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ურთიერთკავშირის განმტკიცების გზებს, დიდი ყურადღება დაუთმო მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პრობლემებს.

ამხ. პ. მ. მაშეროვმა დიდი ყურადღება დაუთმო შრომის ხარისხის ამაღლების გზებს. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების აქტიურობის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით განხორციელებული დიდი ღონისძიებანი შრომითი კოლექტივების სოციალური ფუნქციების ამაღლებისათვის. რესპუბლიკის კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“, „შრომითი კოლექტივის საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის მინსკის სატრაქტორო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“, სხვა საერთო-პარტიულ დოკუმენტებს, რომლებიც მიღებულია სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ. ასრულებდნენ რა მათ, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს ახალი გამოცდილება, უფრო ღრმად სწვდებიან სოციალური და სულიერ-ზნეობრივი პროცესების ხასიათს, უფრო კომპეტენტურად და ეფექტიანად მართავენ მათ.

შეეხო რა საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის, კულტურული და სულიერი ზრდის პრობლემებს, ამხ. პ. მ. მაშეროვმა თქვა: ახალგაზრდობის, ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური წრთობა, ზნეობრივი სიწმინდე და სიმწიფე ჩვენი ძალა, კომუნისტური იდეალებისათვის ბრძოლაში ჩვენი ნაკადი იარაღი.

კომუნისტების, საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების აზრები და გრძნობები დღეს მიპყრობილია კრემლისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — დიდი ლენინის პარტიის XXV ყრილობისადმი, განაცხადა ყრილობის ტრიბუნიდან რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მ. ს. სოლომენცევმა.** ამ ისტორიულ მოვლენას უკავშირებს თავის მისწრაფებებსა და იმედებს მრავალი მილიონი ადამიანი. ორატორმა მთლიანად და სავსებით დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ყველა დასკვნასა და დებულებას, შემოიტანა წინადადება: მოიწონონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა.

მომძე რესპუბლიკების ერთსულოვან, შეკავშირებულ ოჯახად, თქვა მან შემდეგ, უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას რუსეთის ფედერაციის მშრომელები. საბჭოთა რუსეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხალხის საერთო მიღწევებში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ვითარდებოდა დინამიკურად, სწრაფი ტემპით. XXV ყრილობასადმი საბჭოთა რუსეთის შრომითს პატაკში ჩაწერილია უდიდესი ელექტროსადგურები, კამის ქარხნის პირველი ავტომანქანები და ბაიკალ-ამურის მაგისტრალის პირველი კილომეტრები, თანამედროვე ტექნიკა და მასალები. ორატორმა აღნიშნა, რომ სამრეწველო წარმოების მატების 87 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. სოციალური პროგრამის რეალიზაციის მსვლელობაში ხელფასი მოემატა 45 მილიონ კაცს. ეს რუსეთის ფედერაციის ყველა მუშისა და მოსამსახურის სამი მეოთხედია. დაახლოებით 9 მილიონმა ოჯახმა იდღესასწაულა ახალმოსახლეობა.

ამხ **მ. ს.** სოლომენცევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცხრე ხუთწლედის მიღწევები გამოიხატება არა მარტო მატერიალური დოვლათის ზრდით, არამედ საბჭოთა ადამიანების განათლების, კულტურის დონის, საზოგადოების საქმეებით მათი პოლიტიკური აქტივობისა და დაინტერესების ამაღლებით. ამ მაღალ მაჩვენებლებში, რაც XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ერთგულების მკაფიო დადასტურებაა, ჩანს მთელი პარტიის — პირველადი უჯრედიდან ცენტრალურ კომიტეტამდე უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის დამაჯერებელი შედეგი.

დღეს, როცა საანგარიშო მოხსენების დებულებებს ვიხილავთ, თქვა შემდეგ მან, გვინდა განვაცხადოთ, რომ დიდად ვიწონებთ ჩვენი პარტიის გეზის მემკვიდრეობითობას სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში. ასრულებს რა ლენინის ანდერძს, პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებით ბეჯითად ახორციელებს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების კურსს.

ეკონომიკის განვითარებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებამი ახალი მიჯნების მიღწევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. ამხ. მ. ს. სოლომენცევმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციაში შექმნილია დიდი სამეცნიერო პოტენციალი და ამასთანავე, აღნიშნა, რომ მეცნიერების შესაძლებლობებს ტექნიკური პროგრესის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტაში ჯერ კიდევ მთლიანად არ იყენებენ. ამასთან ეკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოების დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების საკითხებს მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის, ეკონომიური ბერკეტების, მორალური და მატერიალური სტიმულების გაძლიერების, თავის დარგში თვითეული მეცნიერის, ინჟინრის, მუშის პროგრესისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებს.

ახლა განსაკუთრებით აქტუალურია საანგარიშო მოხსენების დებულება იმის შესახებ, რომ დიდი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას მართვის ერთიანი სისტემა ჰქონდეს, რომ მათ სათავეში დგენენ საკონტროლო ორგანოები, რომლებსაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.

რუსეთის ფედერაციისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები განელილი წლების გამოცდილებამ დაარწმუნა, თუ რაოდენ ცხოველმყოფელია პარტიის აგრარული პოლიტიკა, რომლის შემუშავებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა. იმას, რაც ამ წლების მანძილზე გაკეთდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებისათვის, სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ვერ შეედრება კომუნისტური მშენებლობის ვერც ერთი სხვა პერიოდი.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის პარტიის ზრუნვის ახალი დადასტურება გახდა რუსეთის ფედერაციის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის გარდაქმნის პროგრამა, რომელიც შემუშავებული და მიღებულია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პირადი ინიციატივით. რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ყველა მშრომელს თავიანთ ღვიძლ საქმედ მიაჩნიათ მისი რეალიზაცია. იყენებენ რა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების მოწინავე მეურნეობების, რაიონებისა და ოლქების გამოცდილებას, რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები კიდევ უფრო აქტიურად განახორციელებენ ინტენსიური წარმოების რელსებზე გადასვლას, განავითარებენ კონცენტრაციისა და სპეციალიზაციას სამეურნეობათაშორისო საფუძველზე, განამტკიცებენ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საწარმოო კავშირურთიერთობას.

საბჭოთა საზოგადოების მთელი ცხოვრება, ყველა ჩვენი წარმატება დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან, განაცხადა ამხ მ. ს. სოლომენცევმა. საანგარიშო პერიოდში ამაღლდა ჩვენი ლენინური პარტიის ხელმძღვანელი როლი, კიდევ უფრო განმტკიცდა მისი ავტორიტეტი. პარტია გაიზარდა რიცხობრივად და განმტკიცდა ორგანიზაციულად, შეიძინა პოლიტიკური მუშაობის ახალი გამოცდილება.

დღეს, როცა აღვნიშნავთ პარტიის ტიტანურ მუშაობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში, შეგვიძლია სრულად შევეგუოთ იმ კურსის ეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, რომელიც შემუშავდა XXIII და XXIV პარტიულ ყრილობებზე. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, თქვა ორატორმა, რომ ჩვენი წარმატებანი განუყრელად არის დაკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის და მისი პოლიტბიუროს, პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უდიდეს პოლიტიკურ და ორგანიზატორულ საქმიანობასთან. მუშაობის ლენინურმა სტილმა, პოლიტიკურმა სიბრძნემ და ადამიანურობამ, მუდმივმა ზრუნვამ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საყოველთაო-სახალხო აღიარება და დიდი პატივისცემა მოუპოვეს ლეონიდ ილიას ძეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე თანამედროეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ამხანაგ ბრეჟნევის მოღვაწეობაში ყველა ამ თვისებამ კიდევ უფრო აამაღლა პარტიისა და საბჭოთის ავტორიტეტი, შექმნა ისეთი შემოქმედებითი ვითარება, რომელშიც ჩვენ ყველანი სიამოვნებით და სიხარულით ვცხოვრობთ და ვმუშაობთ.

ამხ. მ. ს. სოლომენცევმა ყრილობას აღუთქვა, რომ ოუსეთის ფედერაციის მშრომელები ალღონენ არ დაიშურებენ, რათა ახალი თვალსაჩინო მიღწევებით აღნიშნონ მეათე ხუთწლედი, გაახარიცეელონ პარტიის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის დიდებული გეგმები.

დარბაზში შეკრებილნი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ დეგანეს ამხ. **ე. გერეკს,** რომელიც საბჭოთა კომუნისტებს ძმურად მიესალმა პოლოხელი კომუნისტების სახელით და გამოხატა საბჭოთა ხალხისადმი პოლონელი ხალხის გულითადი მეგობრობის გრძნობები.

სკკპ XXV ყრილობა თვალსაჩინო მოვლენაა თქვენი დიადი პარტიისა და საბჭოეთის ცხოვრებაში, თქვა მან. ამავე დროს ეს არის თვალსაჩინო მოვლენა მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის ძალებისათვის. ჩვენ უურადღებით ვუსმენდით ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახალი და ღრმა იდეური, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური შინაარსით მდიდარ მოხსენებას. სხდომათა დარბაზში და მის ფარგლებს გარეთ ბჭობა, რომელშიც მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, ხალხი, ცხადყოფს ლენინის იდეების ერთგულებას, მომავლის რწმენას, პარტიის შეკავშირებას ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს და მისი მეთაურის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო.

თქვენთან ერთად ძმურად ვიზიარებთ კმაყოფილებას უკანასკნელი ხუთწლეულის წარმატებების გამო, განაგრძო შემდეგ ორატორმა. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებამ ხელი შეუწყო საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებასა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობის გაუჯობესებას, მან ხელი შეუწყო სოციალისტური სახელმწიფოების გაერთიანების ძალების ზრდასა და განმტკიცებას. პარტიის მიერ შემუშავებულმა მშვიდობის პროგრამამ გააფართოვა და გააღრმავა დაძაბულობის შენელების პროცესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობისათვის.

სკკპ ახლანდელი XXV ყრილობა ამდიდრებს ამ მიღწევებს, დიდმხიმეელოვანი წვლილი შეაქვს სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში, სახავს უფრო ფართო ჰორიზონტებს, თქვა ამხ. ე. გერეკმა. მთელი გულითა და სულით გისურვებთ ახ

ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ!

(დასასრული).

შეიარაღებულმა ძალებმა და ხალხმა სრული გამარჯვება მოიპოვეს ამერიკის იმპერიალიზმის უსასტიკესი აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთლიანად გაათავისუფლეს სამხრეთი ვიეტნამი. დაიწყო ყველაზე მშვენიერი ერა — მშვიდობიანი, ერთიანი, დამოუკიდებელი და სოციალისტური ვიეტნამის მშენებლობის ერა.

ჩვენი გამარჯვება — ეს არის სწორი რევოლუციური ხაზის, პიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა ურღვევი სოლიდარობის გამარჯვება, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და აყვავებისათვის, ეს არის სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესის ძალების გამარჯვება.

ამჟამად, ახალ ეტაპზე ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს ვიეტნამელ ხალხს თავის ჭრილობების სწრაფი მოშუშებისათვის, კოლონიალიზმის შედეგების აღმოფხვრისათვის, სახელმწიფო თვალსაზრისით ქვეყნის გაერთიანების დამთავრებისა და სოციალიზმის გზით მისი წინსვლისათვის, მსოფლიოს ხალხთა რევოლუციურ საქმეში აქტიური წვლილის შეტანისათვის ძნელი მაგრამ სახელოვანი ამოცანების შესასრულებლად ბრძოლაში.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ამხანაგმა ხო ში მინმა. პირველმა ვიეტნამელმა კომუნისტმა, რომელმაც დაინახა, რომ ოქტომბრის რევოლუცია ხალხისა და ქვეყნის ხსნის ერთადერთი გზაა, ლენინის სამშობლოში ჩამოსვლისას საფუძველი ჩაუყარა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის დიად მეგობრობას. ეს მეგობრობა და ეს სოლიდარობა, რომელთა განვითარება ორი ჩვენი ქვეყნის პარტიებისა და ხალხების მუდმივი ზრუნვის საგანია, დღითიდღე მტკიცდება, იზრდება, იფურჩქნება და თავისი ნაყოფი გამოაქვს.

ვიეტნამელ ხალხს, აღნიშნა შემდეგ ორატორმა, კარგად ესმის, რომ ისევე როგორც წინათ, ახლაც მისი თვითეული წინგადადგმული ნაბიჯი ვიეტნამის რევოლუციის თვითეული გამარჯვება განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებთან. საგანგებოდ უნდა ითქვას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ომში მოპოვებული სრული გამარჯვების შესახებ. ეს გამარჯვება განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის მძლავრ მხარდაჭერასთან, ყოველმხრივ, უდიდეს, მნიშვნელოვან და ეფექტიან დახმარებასთან.

ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის მთავრობა და საბჭოთა ხალხი გულითა და სულით ეხმარებიან ვიეტნამელ ხალხს ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში, სოციალიზმის აშენებაში. რაც უფრო ელტვის ვიეტნამელი ხალხი ეროვნულ განთავისუფლებასა და სოციალიზმს, მით უფრო აფასებს იგი ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის დიად მეგობრობას. მას მარად ეხსომება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალი სულისკვეთებით განმსჭვალული ეს მხარდაჭერა და დახმარება.

პარტიის, მთავრობისა და ვიეტნამელი ხალხის სახელით ამხ. ლე ზუანმა გულწრფელი და დიდი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის მთავრობას, საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ ვიეტნამელი ხალხის მხარდაჭერისა და დახმარების საქმე მათ მიიჩნიათ თავიანთ გულითსურვად, თავიანთი სინდისის საქმედ.

ამით დილის სხდომა დამთავრდა.

25 თებერვლის საღამოს სხდომა

კრემლში გრძელდება სკკპ XXV ყრილობა. საბჭოთა კომუნისტების 15 — მილიონიანზე მეტი რაზმი აქ წარმოდგენილია თითქმის ხუთი ათასი დელეგატით. ისინი დიდი პასუხისმგებლობითა და დაინტერესებით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს.

კამათში გამოსული ორატორები აყენებენ წიხადადებას, რომ მთლიანად და სავსებით მოიწონონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური გეზი და პოლიტიკური საქმიანობა, საანგარიშო მოხსენების ყველა დებულება და დასკვნა, რომელიც აძლევდა ლ. ი. ბრეჟნევმა გაკეთა. პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები სიამაყით ლაპარაკობენ ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის გაავითარებაში მოპოვებულ უდიდეს წარმატებებზე.

დელეგატები და სტუმრები გულთბილად ხვდებიან მოსკოვში იმყოფილ საზღვარგარეთის პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლებს. — სხვადასხვა ენაზე გაისმის მათი მისალმებანი. და თვითეული ეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდი დამსაურების აღიარებაა. ყრილობის დელეგატები და სტუმრები აღნიშნავენ, რომ ჩვენს პარტიას მაღლა ეპირავს ალაფსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის რევოლუციური დროშა.

საღამოს სხდომაზე პირველი გამოვიდა უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. რ. რაშიდოვი. მან თქვა: საბჭოთა უზბეკეთის ყველა მშრომელის სახელით, რესპუბლიკის კომუნისტთა ნახევარმილიონიანი არმიის სახელით მხურვალედ, სულითა და გულით, მთლიანად და სავსებით ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას. ჩვენი დელეგაცია მტკიცედ უჭერს მხარს საანგარიშო მოხსენების ყველა დებულებასა და დასკვნას, და მიაჩნიათ, რომ ისინი მკვიდრად ეყრდნობიან მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას და ამდიდრებენ თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას ახალი დიდმნიშვნელოვანი დასკვნებითა და განზოგადებებით.

საბჭოთა ადამიანები სიამაყით აგლენენ თვალს განვლილ გზას, აღმშენებლობისა და შრომითი გმირობის გზას, იციან, რომ ამ გზაზე მათ მიუძღვის კომუნისტური პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინური ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით. ლენინდ ილიას-ძემ, შთამომავლობით მუშის შვილმა, ხალხის შვილმა, კომუნისტთა პარტიის მეთაურმა, ჩვენი ხალხის, მთელი მსოფლიოს მშრომელების მხურვალე სიყვარული, სიმპათია და პატივისცემა დაიმსახურა. იგი თანამედროვეობის არამარტო ყველაზე გამოჩენილი, არამედ აგრეთვე ყველაზე გაგლენიანი პოლიტიკური მოღვაწეა. აღმოსავლეთის მოაზროვნენი ამბობდნენ: „როცა სახელმწიფოს მეთაურობს ბრძენი, ხალხს საყვარელი, თავისი ქვეყნის საუკეთესო მომავლისათვის მზრუნველი ადამიანი, ეს დიდი ბედნიერებაა როგორც სახელმწიფოსათვის, ისე ხალხისათვის“.

ასეთ ადამიანად საბჭოთა ხალხი, მთელი პლანეტის კეთილნების ადამიანები ასახელებენ ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევს. მას ახასიათებს უდიდესი თავმდაბლობა და ხალასი ნიჭი, რევოლუციური ოპტიმიზმი, პროლეტარული სოლიდარობა და ლმობიერ კლასობრივი პოზიცია, სულიერი სილამაზე და პირადი მომხიბვლელობა.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე, განაგრძო ორატორმა, გარდაიქმნა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის სახე, გაუჯრობესდა მისი სტრუქტურა, გაიზარდა ეკონომიური პოტენციალი, რეკონსტრუირებულია ბევრი საწარმო, ამოქმედდა ასზე მეტი თანამედროვე სამრეწველო ობიექტი. გასული ხუთი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 51 პროცენტით და მეტად, მაშინ, როცა პარტიის XXIV ყრილობის დირექტივები 46-49 პროცენტს ითვალისწინებენდნენ. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 1,7 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

უზბეკეთის კომუნისტური პარტია კვლავინდებურად მთავარ ყურადღებას უთმობდა მეგამბეობის განვითარებას. პარტიის XXIV ყრილობაზე ამ მაღალი ტრიბუნიდან პირობა დავდეთ, რომ ბამბის წარმოებას მეცხრე ხუთწლედის დამლევისათვის ხუთ მილიონ ტონამდე ავიყვანდით. მებამბეებმა პირსათლად შეასრულეს თავიანთი სიტყვა. უკანასკნელი ორი წლის მახეილზე რესპუბლიკამ გადაამეტა ხუთმილიონიან მიჯნას. სულ ხუთწლედის მანძილზე ქვეყანამ მიიღო 24,5 მილიონი ტონა ბამბა, ანუ 2,3 მილიონით მეტი, ვიდრე პარტიის XXIV ყრილობის დირექტივები ითვალისწინებდნენ.

ორატორმა თქვა, რომ უზბეკეთის კომპარტიის XIX ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება წელს მისცეს სახელმწიფოს 5 მილიონ 300 ათასი ტონა ბამბა, მეათე ხუთწლედის დამლევისათვის კი მისი წარმოება გაადიდოს 6 მილიონ ტონამდე.

დასასრულ ამხ. შ. რ. რაშიდოვმა თქვა: ჩვენს პარტიასა და ქვეყანაში შეეძიალი და გაბატონებულია ერთმანეთისადმი ნდობის, ერთმანეთის პატივისცემისა და მხარდაჭერის ატმოსფერო, ერთმანეთისადმი მომთხოვნელობის, ამხანაგობისა და ლენინური პარტიული პრინციპულობის ატმოსფერო. ეს შესანიშნავი ატმოსფეროა, ჯანსაღი, პოლიტიკური კლიმატი დამკვიდრდა ყველა პარტიულ ორგანიზაციაში და მკაფიო გამოხატულებას პოულობს ჩვენი სკკპ XXV ყრილობის მუშაობაში. ყოველივე ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტიკურიოსა და ბიროდან ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის უდიდესი დაძახურებაა. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია გაძოვთქვათ გულწრფელი მადლობის, უდიდესი პატივისცემისა და მადლიერების სიტყვები ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისადმი, რომლებიც დიდი ლენინის ანდერძისამებრ უდიდესი ყურადღებით, ტაქტით, პატივისცემითა და მამობრივი ზრუნვით აყვალფენს აკეთებენ ამისათვის, რომ კვლავაც ვითარდებოდეს, მტკიცდებოდეს და მკვიდრდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ. (სიტყვა მთლიანად იბეჭდება „კომუნისტის“ დღეკანდელ ნომერში).

სკკპ XXV ყრილობა ჩვენი ქვეყნის კომუნისტებში იწვევს სიამაყის გრძნობას იმის გამო, რომ ეკუთვნიან ლენინის დიად პარტიას, უნერგავს იმის ღრმა რწმენას, რომ სწორია მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, თქვა ივანოვოს კ. ი. ფროლოვის სახელობის მელანქის კომბინატის მრთველმა ამხ. ა. თ. ეროფეევამ.

მან მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის, განუწყვეტელი ნაყოფიერი მუშაობის გამო. დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკი მუშამ განვლილი ხუთწლედში თავისი ამხანაგების შრომითს საქმეებსა და მიღწევებზე.

ივანოვოს მელანქის კომბინატი პირველი ხუთწლედის პირმშოა, მაგრამ ეს სახელგანთქმული საწარმო კი არ ძველდება, პირიქით, წლითიწლობით სულ უფრო თანამედროვე ხდება. ფართო მოდერნიზაციის, ტექნიკური პროგრესის კურსის წყალობით მისმა კოლექტივმა უკვე 1974 წლის სექტემბერში მიაღწია ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების დონეს.

ახალმა ტექნიკამ, პროგრესულმა ტექნოლოგიამ საწარმოს მუშაკებს შესაძლებლობა მისცა ფართოდ გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის. ივანოვოელი ფეიერბლელებისათვის მეცხრე ხუთწლედი გახდა შემხვედრი გეგმების ხუთწლედი.

გადიდებული დაკალებანი მიიღეს და წარმატებით შესასრულეს ბევრმა კოლექტივმა, მთელ რიგ საწარმოთა მშრომელებმა. ეს იმის დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ საბჭოთა მუშები ქმშარიტად მეურნეობრივად, სახელმწიფოებრივად ეკიდებიან საქმეს, ეს ნიშნავს, რომ მშრომელები ბედნიერ ცხოვრებაში. მოწონავე მუშამ ილაპარაკა თავის ახალ საწარმოო მიჯნებზე. მეათე ხუთწლედში, თქვა მან ვალდებულებას ვაცრულობ შეავასრულო ორი პირადი ხუთწლიანი დავალება.

სიტყვა ეძლევა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხ. ფ. კასტროს. დელეგატები და სტუმრები მას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ჰონეკერი, რომელსაც დამსწრენი მეუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მან სკკპ XXV ყრილობის დელეგატებს, ყველა საბჭოთა კომუნისტს გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებისა და მთელი ხალხის მზური, საბრძოლო სალამი. ჩვენ სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ვიგებთ ამის გამო, თქვა მან, რომ ჩვენი პარტიის დელეგაცია მონაწილეობს საბჭოთა კომუნისტების ფორუმში.

საბჭოთა ქვეყანა, ხაზი გაუსვა ორატორმა, ყრილობას შეეგება შესანიშნავი წარმატებებით. შთამაგონებელი შედეგები, რომლებიც ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, მოწმობენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ყოველისძლეკ ძალას.

საბჭოთა ხალხის უდიდესი მიღწევების შედეგად სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ განვლილი წლები განსაკუთრებით კეთილაყოფიერი პერიოდი გახდა. საბჭოთა ქვეყნის წარმატებანი იკოზმიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, თავდაცვითი ძალიერების გაძლიერებაში ამავე დროს სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის შემდგომი განმტკიცებისა და აყვავების, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის მსოფლიო ბრძოლაში ხალხთა ახალი წარმატებების საწინდარიც არის.

ჩვენ მადლობას ვუძღვნით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩვენს მეგობარს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, თქვა ამხ. ე. ჰონეკერმა, მათი ინიციატივისათვის, დედამიწაზე კომუნიზმისა და მშვიდობის კეთილშობილური საქმის გასამარჯვებლად ინიციატივიანი, თანამიმდევრული ბრძოლისათვის.

სკკპ XXV ყრილობა ახალ სტიმულს აძლევს სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის, მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარებას. იზრდება სსრ კავშირის გარშემო შეკავშირებული მოძმე სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი განვითარების მთავარი ამოცანების ერთიანობა. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ XXV ყრილობით იწყება პერიოდი, როცა დაჩქარებული ტემპით გაიზრდება სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერება, ერთობა და საერთაშორისო ბედნიერება.

ამ მხრივ, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, ჩვენ ბევრ საქმეს ვაკეთებთ ერთად. ეს ეხება ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ, მოძრაობის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესის ძალების გამარჯვება.

ამჟამად, ახალ ეტაპზე ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს ვიეტნამელ ხალხს ომის ჭრილობების სწრაფი მოშუშებისათვის, კოლონიალიზმის შედეგების აღმოფხვრისათვის, სახელმწიფო თვალსაზრისით ქვეყნის გაერთიანების დამთავრებისა და სოციალიზმის გზით მისი წინსვლისათვის, მსოფლიოს ხალხთა რევოლუციურ საქმეში აქტიური წვლილის შეტანისათვის ძნელი მაგრამ სახელოვანი ამოცანების შესასრულებლად ბრძოლაში.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ამხანაგმა ხო ში მინმა. პირველმა ვიეტნამელმა კომუნისტმა, რომელმაც დაინახა, რომ ოქტომბრის რევოლუცია ხალხისა და ქვეყნის ხსნის ერთადერთი გზაა, ლენინის სამშობლოში ჩამოსვლისას საფუძველი ჩაუყარა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის დიად მეგობრობას. ეს მეგობრობა და ეს სოლიდარობა, რომელთა განვითარება ორი ჩვენი ქვეყნის პარტიებისა და ხალხების მუდმივი ზრუნვის საგანია, დღითიდღე მტკიცდება, იზრდება, იფურჩქნება და თავისი ნაყოფი გამოაქვს.

ვიეტნამელ ხალხს, აღნიშნა შემდეგ ორატორმა, კარგად ესმის, რომ ისევე როგორც წინათ, ახლაც მისი თვითეული წინგადადგმული ნაბიჯი ვიეტნამის რევოლუციის თვითეული გამარჯვება განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებთან. საგანგებოდ უნდა ითქვას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ომში მოპოვებული სრული გამარჯვების შესახებ. ეს გამარჯვება განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის მძლავრ მხარდაჭერასთან, ყოველმხრივ, უდიდეს, მნიშვნელოვან და ეფექტიან დახმარებასთან.

ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სსრ კავშირის მთავრობა და საბჭოთა ხალხი გულითა და სულით ეხმარებიან ვიეტნამელ ხალხს ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში, სოციალიზმის აშენებაში. რაც უფრო ელტვის ვიეტნამელი ხალხი ეროვნულ განთავისუფლებასა და სოციალიზმს, მით უფრო აფასებს იგი ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის დიად მეგობრობას. მას მარად ეხსომება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაღალი სულისკვეთებით განმსჭვალული ეს მხარდაჭერა და დახმარება.

პარტიის, მთავრობისა და ვიეტნამელი ხალხის სახელით ამხ. ლე ზუანმა გულწრფელი და დიდი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის მთავრობას, საბჭოთა ხალხს იმისათვის, რომ ვიეტნამელი ხალხის მხარდაჭერისა და დახმარების საქმე მათ მიიჩნიათ თავიანთ გულითსურვად, თავიანთი სინდისის საქმედ.

ამით დილის სხდომა დამთავრდა.

25 თებერვლის საღამოს სხდომა

კრემლში გრძელდება სკკპ XXV ყრილობა. საბჭოთა კომუნისტების 15 — მილიონიანზე მეტი რაზმი აქ წარმოდგენილია თითქმის ხუთი ათასი დელეგატით. ისინი დიდი პასუხისმგებლობითა და დაინტერესებით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს.

მსოფლიოს ამბები

ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის კომპასი

ამ დღეებში მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია მოსკოვისადმი, სადაც მუშაობას განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა. ხუთი კონტინენტის სახელმწიფო მოღვაწენი, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი გულდასმით აანალიზებენ მოხსენების დებულებებს, რომელიც ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყრილობის დელეგატები და დამსწრე მომძე პარტიების ხელმძღვანელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მუშაობას, რომელიც ახლა კრემლში მიმდინარეობს, ახასიათებს შემოქმედებითი ინიციატივა და ძლიერი სოლიდარობა, ნერს დღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო **„სოციალ დოიჩლანდი“**. დელეგატები თავიანთ გამოსვლებში აცადებენ, რომ მთლიანად იწონებენ მოხსენებას, რომელიც წარმოადგინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა. ამ მოხსენებაში ნრმად ბარქსისტულ-ლენინურად არის გაანალიზებული მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობა, შეჯამებულია ძედგენები და ნაჩვენებია კოოუნიზმის გზით საბჭოთა კავშირის დიხამიკური ნინსვლის გენერალური გეზი.

ვარშავის „ვლოს პრაცი“ სარედაქციო კომენტარში „ძომავლის ფორმირება“ ნერს: „სკკპ XXV ყრილობა — არის ჩვენი ნაკადი მეგობრების ხელმძღვანელი ძალის ყრილობა. ჩვენ გვეოთანებს არა მარტო მეგობრობისა და ძმობის მჭიდრო კავძირი, არაედ გვაერთიანებს კავძირიც, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიტერ ძეიანლოიას თანამეგორობის ყველა ქვეყანაში. XXV ყრილობა — ეს არის ყრილობა პარტიისა, რომელიც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ჭაღეკანი ძალაა, რომელსაც სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ნახევარ საუკუნეზე ძეტი ხნის გამოცდილება აქვს.

პარიზის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახგარი, რომელიც წარმოადგინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ამაყობენ ამ ფაქტით, ამ ერთ-ერთ ფენომენ ეროვნულ-ეროვნულ ეროვნულ ეროვნულ